რევოლუცია არის მიჯნა ძევეს, ცუდს და ახალს, უკე- თვსს შორის. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო თვითმპურობელობა რუსეთში და დაამყარა თავისუფლების რეაქიმი, შექმნა იმ დროის უთავისუფლესი სახელმწიფო. ეს იყო უძიდესი პროგრესი, ამაში მდგრამარეობდა ამ რევოლუ- ციის გამართლება. ამ რევოლუციაში და თვითმპურობელო- ბის დამხობაში ბოლშევიკებს ერთი წვეთი დამსახურებაც არ მიუძღვით. სამაგიეროდ ლენინი დაბრუნდა ამ თავისუ- ფალ რუსეთში საეჭვო გზით და საშუალებით, რუსეთის მა- შინდელი მტრის, გერმანიის, ტრერიტორიაზე გატარებულ დაპლომბილ ვაკონში. გერმანიის მაშინდელ მთავრობას იმე- დი ჰქონდა, რომ ლენინი იმ შემთხვევაში, თუ ის ამა თუ იმ გზით რუსეთის მთავრობის სათავეში მოექცეოდა, გერმანია- სთან ზავს ჩამოაგდებდა. ლენინმა მის სამშობლოს მტრებს ეს იმედები მალე გაუმართლა. ლენინს კარგად ესმოდა, რომ ამ სამსახურს იყი მაშინდელ გერმანიას უწევდა, რომელიც მის თვალში იმპერიალისტური იყო.

ლენინის რუსეთში დაბრუნებამდე ბოლშევიკური ხელმ- ძღვანელები საერთოდ იდგნენ დროებით მთავრობასთან თა- ნამშრომლობის პოზიციაზე, მაგრამ ლენინმა ეს ერთბაშად შეატრიალა და მიალწია იმას, რომ ოქტომბერში სუსტმა მთა- ვრობამ ბურთი და მოედანი აჯანყებულებს დაუთმო, მოხდა ე.წ. ოქტომბრის რევოლუცია. მაგრამ რომელ სრულ ჭიქაზე მყოფ ადამიანს შეუძლია თქვას, რომ ამ რევოლუციამ ხალხს იშანებ უკეთესი მისცა, ჩაც იყო მის წინ? რომ მის მიერ დამ- ყარებული რეაქიმი იყო პროგრესი იმასთან შედარებით, ჩაც უშუალოდ მის წინ არსებობდა? ოქტომბერი მიმართული

ყოფ თებერვლის წინააღმდეგ, რომელმაც თვითმპყრობელობა მოსპოტ და ხალხს და ადამიანს თავისუფლება მისცა. ოქტომბერმა კი წართვა ხალხს და ადამიანს ეს თავისუფლება და გაამეფა ძალადო და ტერორი, ხოცა-ულეტა. ეს დაიწყო ლენინმა და განაგრძო მასზე ჟუკეთესად მისმა საჟუკეთესო მოწაფემ, სტალინმა. ამ ნიადაგზე დეკრეტით უნდა განხორციელებულიყო სოციალიზმი, შემდეგ კომუნიზმიც. ამ დიდი დამსახურებისათვის კომუნისტებმა დაიწყეს ორივე იქტატორის თაყვანისცემა, მათი გაკერძება, შექმნეს მათი ნამდვილი კულტი, აუგვს მათ მავროლეუმი, სამუდამო ბინა. შემდეგ ხრუშჩოვმა ამ ბინიდან ერთი გამოასახლა, მაგრამ მას ალაზ დაურჩა იმდენი ძალა და გაბეჭდულება, რომ მეორე ყალბი ლერთიც იქიდან გამოედევებინა. ასე შეინიარჩუნა ლენინმა კერპის მდგომარეობა, რაშიდაც მას შეტოვე აღარ ჰყავს. ას-ლა ლენინის საიუბილეო წელში ამ კულტმა თავაშვებული იდეოლოგიური ორგიის ხასეათი მიიღო.

კომუნისტურ ხელმძღვანელობას ეს სხვადასხვა მიზნით, პირველ რიგში პროპაგანდისტული მოსაზრებით სცირდება, მაგრამ ფართო მასებში ეს ალფროვანებას არ იწყვეს. ფართო მასებში, როგორც მარქსი, ისე ლენინიც ყველას მობეჭრდა და მათ ნაკლებად კითხულობდნენ. ამ მასებში ინტერესი ლენინის ნაწერებისა დამი იმდენად შესუსტდა, რომ კომუნისტური პრესა იძულებულია ტროგამოშვებით გაახსენოს თავის მკითხველებს ეს ნაწერები და მოუწოდოს მათ შეისწავლონ ისინი და ლენინიზმი (იხ., განხეთი «პრავდა», 11.11.1969).

ლენინს პქონდა განსაკუთრებული სიმპათიები ტეროვისა და ნერიაჟის მიმართ და ურჩევდა ყველას შეესწავლათ ისინი. რა უნდა შეესწავლათ? შეიარაღებული აჯანყება და ტერორისტული აქტები შეადგინდნენ ამ რესი რევოლუციური ინტელიგენტების ბრძოლის ნორმალურ მეთოდს. ეს რევოლუციონერები მიმართავდნენ ყოველ საშუალებას, მხროდ მიეღწიათ მიზნისათვის; ისინი არ ერიდებოდნენ ტყუილს, ცილისწამებას, ტერორს, მკვლელობას. მათვის მიზანი ამართლებდა საშუალებას. მიზნის მისაღწევად «კომუნისტება უნდა დაამატონებონ, თუ საჭიროა, სიმართლე, უნდა მიმართონ ფანდებს და ხრიკებს, ცალიერებას, სხვანაირად მოაწოვნეთა ცილისწამებას». ამას წერდა შემდეგ ლენინი. ლენინისათვის კუ მიზანი ამართლებს საშუალებას. ეს გახდა ბოლშევიკების სახელმძღვანელო პრინციპი.

არის საზოგადოდ ის, რაც ლენინმა და შიხსა მეგებიღოვ-
ებმა შექმნეს, სოციალიზმი? მიწის და საწარმოო საშუალება-
თა გასახელმწიფოება არაა საკმარისი იმისათვის, რომ აბ-
ჭოთა კაეშირში არსებულ რეკიმს სოციალიზმი ვუწოდოთ.
დედო რუსეთში მთელი ავლადიდება ეკუთვნოდა მეფეს ანუ,
რაც მაშინ იგივე იყო, სახელმწიფოს; შემამულებები და გლე-
ხიბი იყვნენ მეტის კმიტი. ბატონიშვილის მოსპონსობად უაბ-

რიკა-ქარხნები შეადგენდნენ სახელმწიფოს საკუთრებას ან მუშაობდნენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსათვის. ბატონიშვილის მისპობის შემდეგ შეიქმნა პირობები კერძო კაპიტალისტური ინდუსტრიის განვითარებისათვის, რაც საკმაოდ ჩეარი ტემპითაც მიმდინარეობდა, მაგრამ მაღავ მოლ-შევიყებმა ეს წროცესი შეწყვიტეს და მთელი შეურნეობა და კულტურა კომუნისტურ სახელმწიფოს გადასცეს. რუსეთში, ძველშიც და ახალშიც, სახელმწიფო ფლობდა და ფლობს ყველაფერს—შეურნეობას, კულტურას, საზოგადოებას, ადამიანს.

სხვა, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ატრიბუტი საბჭოურ რეების არ გააჩნია.

თავისუფლებას ძველი რუსეთი არ იცნობდა, მაგრამ ის ახალ რუსეთშიდაც აკრძალული ზილია. აზრის თავისუფლად გამოთქმისათვის სტალინი სკონცეტრაციო ბანაკებში გზავნიდა, ბრევენები ამავე «დანაშაულისათვის» ხალხს საგრძეთში ყრის, მაშასადამე, მორალურიდ ჰკლავს მათ. საბორთა მოსახლეობა გაუგონარი ტერორის ქეშ იძყოფება, დაშინებულია და დამბლადაცემული, ხმას ვერ იღებს. პარტიულ აპარატს აგენტების უზარმაშარი ქსელით მთელი ხალხი ტავეობაში ჰყავს.

ლენინი ცნობს ერების პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას. «ერების თვითგამორკვევა, წერს ის, გულისხმობს მათ სახელმწიფოებრივ გამოყოფას უცხო კოლექტივებისაგან, გულისხმობს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას» (იხ. ლენინი, თხზულებები, მე-4 გამოცემა, ტ. 20, გვ. 369). მაგრამ უფავო ლენინის აზრით, რომ «კაპიტალიზმი უკელვან ნაციონალურ მოძრაობებს იწვევს, რომელთა ტანდენცია ნაციონალური სახელმწიფოების შექმნაში მდგრამარეობს...», ვინაიდან ამგვარი სახელმწიფოები კაპიტალიზმის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს უზრუნველყოფენ» (იხ. იქვე, გვ. 372), «ნაციონალური სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და ნორმა», დაასკვნის ლენინი (იხ. იქვე). ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენს ამგვარად კაპიტალისტური განვითარების ნორმალურ მოვლენას. მაგრამ ასეთი იგი არ არის სოციალიზმისათვის. «სოციალიზმის მიზანია, წერს ლენინი, არა მხოლოდ კაცობრიობის პატარ-პატარა სახელმწიფოებად დაყოფისა და ერების ყოველგვარი განცალკევების მოსპობა, არა მხოლოდ ერების დაახლოება, არამედ მათი შეერთებაც» (იხ. ლენინის თხზულებები, ტ. 22, გვ. 135) ანუ მათი შემორტებაც. მაშასადამე, ნაციონალური სახელმწიფო ლენინის სოციალიზმს არ შეეფერება. ბურეუაზიულ საზოგადოებაში ერს შეუძლია გამოეყოს მის მჩაგვრელ ერს და შექმნას საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, ლენინის სოციალისტურ საზოგადოებაში კი იგივე ერი უნდა შეუერთდეს მეორეს, ან მას შემოიერთებს სხვა, უფრო

ძლიერი სახელმწიფო, აი, ამ პერსპექტივებს უსახავს ლენინი პატარა და სუსტ ერებს (და დიდებსაც). ყველა ეს ერი ლენინს სურს მოაქციოს თავისი «დემოკრატიული ცენტრალიზმის» სისტემაში, რომელიც მან თავის პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოში შემოილ და მისმა მემკვიდრეებშა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვის ევროპულ სატელიტებზე გაავრცელეს და რომლის გლობალური განხორციელება მსოფლიო ორველულურის საშუალებით ლენინის და კომუნისტების ცუნებას შეადგენს.

«გამარჯვებულმა სოციალიზმა, წერს შემდეგ ლენინი, აუცილებლად უნდა განახორციელოს სრული დემოკრატია, მაშინადამ, არა მარტო გარეაროს ერების სრული თანასწორუფლებიანბა, არამედ აგრეთვე განახორციელოს დაჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლება, ე. ი. თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფის უფლება. სოციალისტური პარტიები, რომლებიც არ დამტკიცებენ თავიანთი მოღვაწეობით ახლაც, რევოლუციის დროსაც და მისი გამარჯვების შემდეგაც, რომ ისინი დაჩაგრულ ერებს გაათავისუფლებენ და თავიანთ დამოკიდებულებას მათ მიმართ თავისუფალი კავშირის საფუძველზე აგებენ—ამგვარი კავშირი კი არის ცრუფრაზა გამოყოფის თავისუფლების გარეშე—ასეთი პარტიები ჩაიდგნდნენ ღალატს სოციალიზმის მიმართ» (ინ. ლენინის თხზულებები, ტ. 22, გვ. 132). არც რევოლუციამდე, არც რევოლუციის დროს ან შემდეგ ლენინს და კომუნისტებს არავინ გაუთავისუფლებიათ, პირიქით, მათ რუსეთისაგან გამოყოფილი და პოლიტიკურად თვითგამორკვეული ერები უხეში ძალით დაიპყრეს, ისეთებიც კი, რომლების დამოუკიდებლობა ლენინმა თვითონ ცნო, როგორც, მაგალითად, საქართველო. ლენინმა და მისმა დამქაშებმა გატეხეს სიტყვა, არ შეასრულეს ხელშეკრულება, მათ ჩაიღინეს ღალატი არა სოციალიზმის—მათი სოციალიზმი აქ სრულიად არ არის საინტერესო—არამედ თავიანთი სინდისის, თუ ასეთი მათ კიდევ გააჩნდათ, და იმ ერების წინაშე, რომლებსაც მათ თავისუფლება წაართვეს.

კლასთა ბრძოლის იდეა ლენინმა და ბოლშევკიებმა გადაიტანეს საერთაშორისო სფეროში და გააჩალეს ხალხთა ბრძოლა, ე. ი. კომუნისტების შეტევა მსოფლიოში, რასაც მათ «ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა» უწოდეს. ეს «ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა» ბოლშევკიებმა დაიწყეს საქართველოში «შულავერის» მეთოდით, რომელსაც ისინი შემდეგ ხშირად მიმართავდნენ, მაგ., ლუბლინში, პოლონეთის გაკომუნისტების მიზნით. თავიანთი ბატონობის მთელი ხნის განმავლობაში ლენინი და საბჭოელი კომუნისტები განუწყვეტილივ ეროვნების სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ადგილობრივი კომუნისტების სასარგებლოდ. მსოფლიოში არ დარჩნილა ისეთი კუთხე, სადაც საბჭოელ კომუ-

ნისტებს არ გამოეწვიოთ აჯანყება და არეულობა. კველაფერი ეს ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას და მისი ბატონობის დაწესებას. ესაა აშკარა ალირახსნილი იმპერიალისტური პოლიტიკა, რომლის უკანასკნელი მაგალითია ახლო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ვიკტორაში მოსკოვს აღმოუჩნდა მოკავშირე, ჩრდილოეთ ვიკტორაში პრეზიდენტი, პო ში მინი და მისი მთავრობა, რომლებიც აქეთებენ მოხვევის და პეკინის საქმეს და ეწვევიან ავანტიურისტულ პოლიტიკას. ვიკტორაში გაერთიანების მომიწენებით ისინი ხოცავენ თვითონ და აულეტინებენ ძლიერ მტერს ამ ქვეყნის მოსახლეობას. ვინ უნდა იქნას ამ შემთხვევაში გაერთიანებული, თუ მოსახლეობა ამოქლეტილ იქნა? ახლო-აღმოსავლეთში კი მოსკოვს არაფერი დაუკარგას. მისი ინტერესები იქ არ აღმატება, ვთქვათ, საფრანგეთისას ან გერმანიისას თუ სხვისას. მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილოდება, მისი მისწრაფებაა იქ მოიკალათოს, დამკიციდრდეს, ახლო აღმოსავლეთი გაიხადოს. თავისი მსოფლიო იმპერიალისტური პოლიტიკის (ზოგიერთი იტყვის: «მსოფლიო რევოლუციის») საოპერაციო ბაზად. აյი ლენინი დაემუქრა კიდევ მსოფლიოს ღაშქრობით და დაპყრობით: «რუსი მუშა წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად... ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისკენ»-ო, ე. ი. კომუნისტები და პყრობები მსოფლიოს.

ამისათვის ლენინმა შექმნა ანტიიმპერიალისტური კომუნისტური სტრატეგია იმპერიალიზმის თეორიის საფუძველზე, რომელიც, სწორედ რომ ვთქვათ, რა მას, არამდე ინგლისელ ჰობსონს და გერმანელ ჰილფერდინგს ეკუთვნის. ჰილფერდინგის თანახმად, იმპერიალიზმი არის მონპოლისტური ფინანსური კაპიტალის ექსპანსიური პოლიტიკა. ამას ლენინ სტალინმა გამოაბას შემდეგ ეუდი და ამტკიცებდნენ, რომ «იმპერიალიზმის ფრონტი შეიძლება გარღვეულ იქნას არა უსათუოდ მის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში». ბოლშევკიებმა გაარღვევეს თითქოს ეს ფრონტი სუსტად განვითარებულ რუსეთში, რომელიც გადააქციეს ბაზად და არსენალად მსოფლიოში აჯანყებების და შეტევების საწარმოებლად. მაგრამ რა მოგო ამით მუშათა კლასში? არაფერი, პირიქით. ხელსაყრელი პირობების წყალობით საბჭოთა კავშირი გახდა უდიდესი მილიტარული ქვეყანა და თავისი არმური შეიირალებით შიშის გვრის მშეიდობის მოყვარე ადამიანებს და ხალხებს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასიკი იმყოფება წინანდებურად გაჭირვებაში, მაშინ როდესაც დასავლეთის მშრომელები ფუფუნებაში ცხოვრობენ.

ვ. იმნაიშვილი.

მსოფლიო ქალთა განაცხადის შემსრულებლები

და

დაპყრობილ ერთიან კოლეგიაში პოზიციალი

... არსებულ მდგომარეობაში პირველ ხიდათს წარმოადგინს უკანასკნელი კოლონიალური იმპერია ევროპის სიკრეულე—მოსკოვის იმპერია. ამ იმპერიას არ შეუძლია იარსებოს, თუ იგი შეაჩერებს თავის ეროვნულ აგრესიულ დაპყრობელ პოლიტიკას, როგორც თავის შინაგან ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო სარბილოშე. ეს იმპერია არსებობს შეოლოდ ამ დაპყრობათა გაქანების ინერციით და თუ ეს დაპყრობის ინერცია შეჩერებული იქმნა, იგი იმწამსვე დაიშლება.

კრემლს საუცხოოდ ესმის თავის იმპერიის მდგომარეობა და მისი პოლიტიკური ავებულობის თავისებურობა, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკა სდგას ძალიან მკვეთრ, მარტივ და პირდაპირ ლიანდაგზე. ეს არის ძველი უცვლელი ხაზი რუსეთის აგრესიისა, გამოკვეთილი სრულიად ნათლად. კრემლს სურს, რომ დამონებულ ერების სამხედრო პოტენციალით დაიპყროს დასავლეთი და მერე დამორჩილებულ დასავლეთის ძალით გაუმჭვავდეს ჩინეთს და ამ გზით დაამყაროს თავის პეგემონია მსოფლიოშე.

მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელსაც განიცდის მოსკოვი თავის შინაგან განვითარებაში და საერთაშორისო სარბილოშე, იგი მაინც არ იღებს ხელს თავის ეროვნულ ტრადიციულ აგრესიის არც ერთ მიზნიდან, იგი მომაკვდავის კონფულსით ებლაუჭება რუსეთის ძველ პოლიტიკურ ხაზს.

1919-20 წლების რუსეთის ლაშერობამ სრულიად ნათლად გამოარყია, რომ რუსეთი მარტო თავის ეროვნული ძალებით, რომლის გამოყვანაც შეუძლიან მხოლოდ თავის ეთნო-გრაფიულ ტერიტორიიდან, ვერას დროს ვერ მისწვდება შუა ეროპას და მით უფრო, დასავლეთ ევროპის საზღვრებს. აქციან სრულიად ცხადად ხსანს, რომ მოსკოვის მთელი აგრესია და მსოფლიოშე გაბატონების პრეტენზიები დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ დაპყრობილ ერების სამხედრო პოტენციალშე, ე. ი. ამ ერების ტერიტორიის სტრატეგიულ მნიშვნელობაშე, მათი ტვრიტორიის ეკონომიკურ შემძლებლობაშე, და ამ ერების ცოცხალ ძალებზე, რომელიც, თუ დაუკერებთ ლენინს, ჯერ კიდევ 1917 წელში წარმოადგენდნენ იმპერიის მოსახლეობის 57 პროცენტს.

დაპყრობილ ერების სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი არღვევს დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ წონასწორობას და შეუძლებელ პყოფს შეკვიდრ და ხანგრძლივ ზავის დამ-

¹⁾ მოგვყავს აეტორის შრომიდან უკანასკნელი თავი—შემოკლებით.

ყარებას. თუ ეს საომარი პლტენი ციფრული მოხსნილი იქმნა მოსკოვის იმპერიალიზმის სამხედრო მანქანიდან, მაშინ კაცობრიობაში შედგება სრულ განახლების და ხანგრძლივ დამშვიდების ნიადაგზე.

დღეს მსოფლიოს დამშვიდების და მის თავისუფალ ნაწილის ყოფნა-არყოფნის საეჭირო დამოკიდებულია რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების განთავისუფლების საკითხში. თუ დასავლეთს სუჯს, რომ შეირჩინოს საკუთარი თავისუფალი არსებობა, დაპყრობილი ერები უნდა განთავისუფლებული იქმნენ რუსეთის ბატონობიდან მისისდა მიუხედავად, თუ რუსეთის სათავეში იმყოფება მეფის თუ კომუნისტების მთავრობა. ნუკლეალური იარაღის არსენალი, შორსმწიდომი რაჟეტების რიცხვი. ასტრონაოსნობის სივრცის გამოყენება.... ყველაფერა ეს იძლევა მხოლოდ ტროიკიურ წარმატებას და მორიგე შეტაკების მოგების იმედს. ეს ელემენტები არას შემთხვევაში არა ჰქმნიან პირობებს ძილთა მეცნიერ წონასწორობისა და ხანგრძლივ ზევის დამყარებისა, დასავლეთი კრძნობს თავის შდგომარეობის მთელ სიძნელეს და დაეძებს საკუთარ თავისუფელების გადარჩენის საშუალებებს. ამის ძიებაში უფრო და უფრო ხშირად ისმის ხმა გაერთიანების.

ვის გაერთიანებას შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს ძალთა მკვიდრი წონასწორობა? თუ ეკიულისხმებთ მარტო დასავლეთ ეკროპის გაერთიანებას—ეს არის მხოლოდ კონცხი ეკრაზის კონტინენტისა და ეს იქნება არა გაერთიანება, არამედ მხოლოდ მორიგე კოალიცია ამ სივრცის სახელმწიფოებისა. ასეთი კომბინაციები ბევრი იყო ისტორიის ვითარებაში და ამ კომბინაციებმა ბოლოს მსოფლიო მიიყვანეს და ვანდელ მდგომარეობამდის.

რომელ ერების გაერთიანებას შეუძლიან შექმნას ამ პირობებში ძალთა წონასწორობა? შეიძლება ამ საკითხის გადაჭრა გეოგრაფიულ რუკის ნაკვების გამიჯვნით, რომელიმე პარალელების ან მერედიანების ხელოვნურ ხაზების გაყოლით? რა მოვლენები ჰქმნიან გაერთიანების ნიადაგს?

გაერთიანების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ის. რომ თავისუფალი ერთეულები საკუთარ ეროვნულ არსებობის უზრუნველყოფას ხელავენ მჭიდრო თანამუშაობაში და თანაცხოვებაში სხვა რომელიმე ასეთივე ერთეულებთან. ეს ხდება უმთავრესად ხანგრძლივ საერთო პოლიტიკურ ხიდათის წინაშე. ხშირი განმეორებითი თანაბრძოლა პბადებს სურვილს ამ თანაბრძოლის და თანამუშაობის მუდმივ სახის გამონახვისა.

ასეთი ფსიქოლოგიური განწყობილება შეიქმნა დღეს ყველა იმ ერების წიაღში, რომელიც ჩამოყალიბდნენ ეკროპის კულტურის გარშემო. აქ არავითარი მნიშვნელობა არა ექვს ხელოვნურ გეოგრაფიულ გამიჯვნას. მაგალითად, ოსმალეთი და სპარსეთი აზიის სივრცეში იმყოფებიან და ერთ დროს წა-

რმოადგენდნენ მხოლოდ აზიას. დღეს, ყოველ გარდამწყვეტ მომენტში, ეს ერები მუდამ დასაცლეთთან იქნებიან. რასაკვირველია, ამავე დროს არას შემთხვევაში არ შეიძლება ამ ერების ძეველ ისტორიულ ტრადიციების და ცხოვრების პირობების დარღვევა და შელახვა.

შიუხედავად აზიას და ეკროპის ხელოვნურ გეოგრაფიულ გამიჯვნისა, ყველა ამ ერებს აქვთ სურვილი და სრული შეგნება, რომ შეგმნან ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული იმ პირობით, რომ მათი ცხოვრების ეროვნული ტრადიციები და სახე არ იქნებიან შელახულნი, ე. ი. სურთ გაერთიანება თავდაცვის ძალებისა და ეკონომიკურ შემძლებლობისა, რომ გადაარჩინონ თავიანთი თავისუფალი არსებობა, როგორც მოწინააღმდეგის აგრძესიდან, აგრეთვე ზოგიერთ მოკავშირის ზედმეტ «გულმოდგინე» ზეგავლენიდან, ვინაიდან მოკავშირის ესეთი ზეგავლენა, თავის საბოლოო შედეგში, ხდება იმავე დაპყრობათ უცხო ძალის მიერ (მოიგონეთ რუსეთ-საქართველოს კავშირი; ასეთივე დღევანდველი რუსეთ-არაბების კავშირი).

რასაკვირველია. შეგნების ამ საფეხურს ვერ მიაღწევდნენ ეჭროპის კულტურის ერები იმ დროს, როდესაც ევროპის იმპერიები ისე ძლიერნი იყვნენ, რომ ყოველ მათგანს სწამდა, რომ მარტო გაუძლევებოდა მთელ მსოფლიოს და ყოველი მათგანი მხოლოდ დაპყრობებზე ფიქრობდა. ეს იყო ყველაზე მძლავრი ხენი ევროპისა. ამის გამო ევროპაში თავის ისტორიაში ვერ შექმნა ერთი მთლიანი პოლიტიკური სახე და იგი არას დროს არ წარმოადგენდა მთლიან პოლიტიკურ ერთეულს. პირიქით როგორც უკვე ზემოდ იქმნა აღნიშნული, სწორედ ამ დროს, ევროპის ყოველი კოლონიალური იმპერია მზად იყო, რომ კოლონიალურ, ყოველ მეორე თუ მესამე ხარისხოვან, «ინკინდენტის» გამო, ევროპის შუაგულში აეტეხა შეოცე საჟუნის განმანადგურებელი ოში.

იმპერიების მოსპობამ და საერთო ხიდათის შეგნებამ გახსნა გზა ევროპის კულტურული ერების ძალთა გაერთიანებისკენ და ეს არის ნამდვილი საძირკველი ევროპის ძლიერებისა, მსოფლიოს ძალთა მკეიდრ წონასწორობისა და ხანგრძლივ მშეიღებიანობისა.

აქ ქხედავთ ისტორიის ერთგვარ პარადოქს: ევროპა, როგორც მთლიანი ერთეული, ძალიან სუსტი იყო, როდესაც ევროპის ცალკე სახელმწიფონი თავიანთი სიძლიერის უმაღლეს წერტილზე იდგნენ. მაგრამ, იგივე ევროპა შეიძლება იქმნეს უძლიერეს ერთეულად, როდესაც მისი შემადგენელი სახელმწიფონი თავის ისტორიაში ყველაზე მეტ სისუსტეს განიცდიან და იმყოფებიან თავისუფალ არსებობის დაკარგვის უშუალო მუქარის ქვეშ.

არსებობენ სხვა ამის წინაუკმო მიმართულებანიც და ამ მიმართულებებსაც დღეს განთავისუფლებას და გაერთიანე-

ბას უწოდებენ, მაგალითად საბჭოთა «კავშირი». ამ სახელმ-ჭიფოს ყოველ აგრესიულ მოქმედებას და დაპყრობას დღეს «განთავისუფლება და გაერთიანება» ჰქონიან. არ არის საჭირო ამ მოვლენის წუსტი გარჩევა. რას ნიშანები რუსულ ლექსიკონში სიტყვები «განთავისუფლება და გაერთიანება», ამის სრულ ახსნას იძლევა ორი თარიღი: 1956 წ. საქართველოში და უნგრეთში და 1988 წ. ჩეხოსლოვაკიაში.

რა მიმართულებაზე დააყენეს დღეს მსოფლიოს პოლიტიკური ვითარების უკეთესობაზე, ზეცით აღნიშნულ მოვლენებმა? როგორც უკეთ აღნიშნული იქმნა, მეცხრამეტე საუკუნის ურთიერთობის დებულებებმა გასტანეს 1914 წლის პირველ აგვისტომდე, ე. ი. პირველ მსოფლიო ომის პირველ ზარბაზნის გასროლამდის. ამ დღიდან გათავდა ეს ხანა და მსოფლიო შევიდა ძირითად გარდაქმნის პროცესში. ეს პროცესი ჯერ კიდევ შორს არის თავისი ბუნებრივ დამთავრებამდე, მაგრამ, განვლილ ნახევარ საუკუნიდგან ნათლად მოსჩანს ამ გარდაქმნის ხაზი და უკეთ შევიძლიან ჩამოთვლა იმ კონკრეტულ ფაქტებისა, რომელთაც მომავალი ისტორია ველარ შესცვლის, სახელმობ:

- შინაგანი წყობილების ყოველგვარი სახე და საკითხები თავისითავად გადავიდნენ მეორე საკითხთა რიგში.
- სამუდამოდ გათავდა ზანა დიდ და ჭრელ იმპერიებისა. ყოველი დიდი დამყრილები იმპერია იშლება და უასლოვდება თავის ნამდვილ ეთნოგრაფიულ სახლვრებს და ბოლოს და ბოლოს ემარება თავის სალერონულ პატრიოტიზმის საძირკველს.
- ცხოვრებამ ახლად აღნიშნა საგანგებო ხაზგასმით, რომ კაცობრიობის ბუნებრივ შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს ერთ და არა ხელოვნურად შექმნილი დროებითი სახე რომელიმ იმპერიისა.
- ისტორიაში ყოვლად შეუძლებელი გამოდგა ძველ კონტინენტზე რამე ახალ ხელოვნურ, სინტეტიურ ერის შექმნა, როგორც მაგალითად საბჭოთა ნაციისა. ეს არის მთოლოდ მარტივი და უხეში რუსიფიკაცია და დაპყრობილ ერების კონომიური, პოლიტიკური და და ფიზიკური განადგურება.

ჩამოთვლილი მოვლენები მკეთრად ბატონობენ პოლიტიკურ ცხოვრების ვითარებაზე. როგორც უკეთ ჩამოყალიბებული ისტორიული ფაქტები. ამით გათავდა კაცობრიობის ცხოვრების ის ხანა, როდესაც ერთი ერი ბატონობდა მეორეზე. ეს მოვლენა უკეთ ისტორიას უნდა ჩაბარდეს. დღეს აღარ შეიძლება კაცობრიობის არსებობის დამყარება ერების მთელ წევბათა დამონებაზე.

... კაცობრიობის განვითარებას ისევე გადაელობა წინ ერების დამონავების ფაქტი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში განვითარების გზას კეტავდა ბატონიშობის დროს შექმნები.

ნილი ინდიუსიდუალური მონობა. ერების განთავისუფლების საკითხი წარმოადგენს დღეს მთელ კაცობრიობის ვითარების საკითხს. უკვე აღარ შეიძლება ამ საკითხის დაგვიანება, გადადება და გვერდის აქცევა. დღეს ამ საკითხისთვის აღარა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ რა პონიკია უკავია იშის შესახებ ოფიციალურ პოლიტიკურ მსოფლიოს და მის ბიუროკრატიას. დრო მუშაობს დაპყრობილ ერების განთავისუფლების სასარგებლობ და ეს საკითხი გადაწყდება მთელ მსოფლიოში თანაბრად ყველა დაპყრობილ ერებისათვის.

ამ პროცესში გამოიწვიო ძირითადი ცვლილებანი მსოფლიოს ძალთა განწყობილებაში. ეს ცვლილებანი ვითარდებიან დიდი სიჩქარით, საკმაოდ მკეთრად ჩამოიხაზა მომავალი გზით ძალთა ახალ განწყობილებისა. აქ უაზროა მომავალის წინასწარმეტყველობა, საკმარისია წარმოგიდგინოთ ნაირად დღეს არსებული ძალთა განწყობილება მსოფლიოში. დაუბრუნდეთ ამ საკითხს.

დღეს თავისუფალ მსოფლიოს ზიტათს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ევროპის ერების მთელი მესამედი და კიდევ ბეჭრი სხვა ერები, დამონავებულნი არიან მოსკოვის იმპერიის მიერ. კრემლი გრძნობს, რომ ეს უდიდესი სამხედრო ძალა, სანამ იგი ხელიდან წაუვა, მანამდე მოასწროს მსოფლიოს დაპყრობა.

ეს გარემოება, დაპყრობილ ერებს, როგორც ერთ მთლიან წყებას, სამხედრო გარებისობის გარდა აძლევს მძლავრ პოლიტიკურ პრეტრიციალს და ეს პოლიტიკური ძალა ამ ერებისა იზრდება დიდი სისწრაფით. ამ ძალას ქმნის ის ფაქტი, რომ დაპყრობილ ერებს არა სურთ იბრძოლონ თავისუფალ მსოფლიოს წინააღმდეგ, არა სურთ იბრძოლონ რუსეთის სასარგებლობ და არა სურთ იბრძოლონ იმისთვის, რომ შოსკოვი აქციონ ილუმენ ფილოფეის მესამე რომალ».

კრემლი გრძნობს, რომ მოსკოვის იმპერია მიადგა გადაულახა ბუნებრივ ზღუდებს. აღმოსავლეთის საზღვრებზე შას გაუჩნდა მძლავრი მუდმივი მოწინააღმდეგე ჩინეთის სახით, რომელმაც მოსკოვს მკეთრად ჩამოუხაზა ჩინგიზ ხანის აჩრდილი. დასავლეთ ევროპის დაპყრობის საუკეთესო მომენტი კრემლმა დაკარგა 1920-21 წლებში.

კრემლს კარგად ესმის კიდევ ერთი ფაქტი: დიდი და გაუთავებელი დაპყრობები წარმოადგენ ამ იმპერიის არსებობის საიდუმლოებას. ისტორიკოსების გამოთვლით, უკანასკნელ სამ საუკუნის განმავლობაში, ეს იმპერია იზრდებოდა ყოველ ლამეში 80 კვატრატიული კილომეტრის სიჩქარით. ამ დაპყრობების გასაქანი უკვე მიადგა თავის გადაულახავ ზღუდებს და ამ ინერციის შეჩერება თავის ძალით ანგრევს ამ იმპერიას.

ვანო ნანუაშვილი.

რუბენ ჭიდებიძი.

(მიისი გარდაცვალების წეტი წლისთავზე)

1965—1970

რუბენ ყიფიანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, თავისებური, ორიგინალური პიროვნება იყო; ჯერ კიდევ მისი გარეგნობა ყურადღებას იპყრობდა და დამნახველის მეხსიერებაში ადვილად რჩებოდა: მაღალი, ბრტყელი, წელში გამართული, ასოვანი სვანური ან ბოხტი ქუდით თავზე;

რუბენი კიდევ უფრო თავისებური იყო თავისი სულიერი თვისებებით; მისი ხასიათის მთავარი ნიშანი აქტივობა იყო; აქტივობა ყოველგვარი სახის: პოლიტიკური, საზოგადოებრივი და პიროვნეული;

რუბენს არ შეეძლო უსაქმოდ, პასიურად დარჩენა; მას მუდამ რაღაც უნდა პერნილა გასაკეთებელი, რაღაც საზრუნვავი, რაღაც დასაწეები ან მოსაწყობი;

უსაქმობა მისთვის ტანჯვა იყო; ტანჯვა ძნელად ასატანი; ამიტომ იგი ეძებდა ყოველ შემთხვევას, რომელიც მის მოქმედების წყურვილს აქმაყოფილებდა და რომელიც მისი ძლიერი პიროვნების გამერავნების საშუალებას იძლეოდა;

უცხოეთში, ისიც პროექტებიში, თავის ვიწრო ბინაში, საზოგადოებრივ ფართვ ისპარებს მოკლებული, რუბენი გალიაში ჩამწევდებულ ლომსა ჰგავდა, რომელიც კედლებს ხან აქეთ აწყდება, ხან იქით;

და ამიტომ იგი თავისი მოწოლილი აქტივობის სიჭარბის გამოვლენისთვის, ზოგჯერ, მნიშვნელობას მოკლებულ საქმეებშიც ებმებოდა და ამით საკუთარ თავს უსარგებლო სიძნელეს, წყენას და უსიამოვნებას უქმნიდა.

რუბენის აქტივობის წამყვანი მისი მახვილი გონება და მისი მრიდარი გრძნობათა სიმდიდრე იყვნენ; მათი გავლენით რუბენი ჩაება საზოგადოებრივ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და აგრძელებს, სამწერლო მოღვაწეობაში: მან კარგად შეითვისა ქართული ლიტერატურა; და, შემდეგ, მან თვითევ დაიწყო პროზის და პოეზიის შეთხზვა, მათი სხვადასხვა გამოცემებში ბეჭდვა;

რუბენს ბეჭრი რამ უყვარდა; და, ისიც, თვითეული მათგანი ღრმა და ძლიერი სიყვარულით;

მას, ვინც რუბენს უყვარდა, თავზე შემოვევლებოდა, მისთვის შეუძლებელს გააკეთებდა: როცა რუბენი ირაკლი წერეთელზე ლაპარაკობდა მთელი მისი სულიერი და ხორციელი არსება უმლერდა; მისი უბრალო კაპრიზისა და უბრალო სიამოვნებისთვისაც კი და, რასაკვირველია, მისთვის რაიმე სფრიონზულ სამსახურის გაწევისათვის რუბენი თავის საკუთარ თავს არ დაზოგავდა; სიხარულით მას მოლიანად შეეწირებოდა;

რუბენს განსაკუთრებითი სიძლიერით თვისი მონაცემ-
ბული სამშობლო უყვარდა;

სამშობლოს სახით რუბენს უყვარდა ბუნების ფერთა თა-
მაში, სინათლის და ჩრდილის მონაცემები; მზის სხივთა
ზრდა და შემოქრება; ყველაფერი რაც იქ მოძრაობდა, ხმას
იღებდა; რაც განვითარების და გაზრდის უნარს შეიცავდა;
მოშრიალე ტყე, მოდუდუნჯ მდინარეები, ლამაზი ჩანჩქერე-
ბი; ხან ნაზი და ხან კუშტი მთები, ცხენი და ძალი და, რაც
მთავარია, იქაური ადამიანებით: კარგი მეგობრები, კეთილი
ნათესავები და ყველა ისინი, რომლებიც ქართული კულტუ-
რის გალრმავებისა და გამდიდრებისთვის ზრუნავენ;

უეჭველად, რუბენმა იცოდა ღრმა, მთლიანი, განუზომე-
ლი სიყვარული;

კარგი და ტკბილი იყო რუბენთან შეგობრობა;

მწარე და შემაზარელი იყო მასთან ჭიდილი;

ამ მხრივ, რუბენი თავის მშობლიურ მთას უშბას წააგა-
ვდა; უშბას, რომელიც უზომოდ ნაზი, მომხიბლავი, ხალისი-
ანი, მიმზიდველი და კეთილ გრძნობათა ამშლელია, მოწმენ-
დილი, ლურჯი ცის და ცხოველი, ხალისიანი მზის სხივების
ქვეშ; იმავე უშბას, რომელიც კუშტი, მიუკარებელი, საშიშა-
რი და მიუფლობელია აერ ამინდის, ქარბუქის, ჭექა-ქუხილის
და მის თავზე შავი ლრუბლების თარეშის ღროს;

რუბენს ნამდვილი მებრძოლის ტკბილობენტი ჰქონდა:
როცა იგი რაიმე საქმის გაკეთებას, რაიმე მიზნის განხორცი-
ელებას გადასწყვეტდა, მას ვერაფერი აჩერებდა, ამისთვის
იგი არაფერს ზოგადა; არც თავის ძალებს, არც თავის მოს-
ვენებას და არც თავის ქნენებას, ამ მხრივ, იგი დაუდალავი
და მოუდრეკი იყო; მას არ აშინებდა არც საჭირო ღროს სი-
გრძე, არც წარმოსახული მიზნის სიძნელეები და სირთულე,
არც გარჯის სიმძიმე, ამ ნის მანძილზე მისი დაჭიმული ნება
არ სუსტდებოდა, არც მისი გადაწყვეტილება და არც იმ თა-
ვითვე ალებული გეზი არ იცვლებოდა;

რუბენმა თვით გრძნობდა ამას და ამიტომ ვლასა მეელა-
ძის მოგონების წერილში გვეუბება:

«დამარცხებული, ცოვრების დასასრულს მისრული,
გრძელი ღროის განმავლობაში სხვისი ცის ქვეშ, სხვის მი-
წანე გადმოსროლილი... მრისხანე ბედშა და ღრომ... აქამდე
დამტოვეს ქედ-მოუზრელი, იმედიანი და გულგაუტეხელი»
(ვიკტორ წონაძის «კავკასიონი» № 9).

რუბენმა ოთხმოც წელს გადააცილა, მისი სიცოცხლე
გრძელი იყო; ხოლო მოხუცობით იგი არ დაერდომილა; ფი-
ზიკურად ჯერ კიდევ მაგარი, სულიერადაც უდრევი დარჩა:
მან ბოლომდე შეირჩინა ნათელი გონიერა, ჯანსაღი აზროვნება,
სწორი მსჯელობა, ბასრი კალამი და მჭრელი სიტყვა.

უოველივე აშიოთ რუბენს შეეძლო კიდევ ბევრი სახარებ-
ლო საქმის გაკეთება;

საშუალებროდ, ბედმა მას არ დააცალა და რუბენი ჩვენ საშუალოდ დაგვშორდა, ხოლო დაგვშორდა აუცილებლობის და გარდუვალობის ნათელი შეგნებით: უშიშრად და ვაკეა-ცურად; ისე, როგორც ეს მებრძოლ ადასიანს შეეფერდბა;

«ყავკასიონი»-ს იმავე ნომრის ფურცლებზე თავის უკანა-სკნელ წერილში რუბენი მა თავის შეგნებას ასე გვიშუქებს:

«ჩემს ხანში შესულმა კაცმა რომ ის ინატრო, რაც სამა-რადისოდ წასულია და არასტროს არ მობრუნდება, უაზრო-ბაა, უნდა სიყვარულით და ბრწყინვალე მომავლის სურვი-ლით დასტროვ სამშობლო და ხალხი, რომლებიც სიცოც-ლით და სიტყბო-სიმწარით გამკობდნენ... (იქვ.)».

ჩვენი, ქართველობის, წუხილი ისაა, რომ რუბენი ვერ მოესწრო საქართველოს «ცა ფირუზ, ხმელეთ წურმუხტო»-ს ერთჯერ კიდევ ხილვას მაინც.

ამიტომ ვსტირით ჩვენ ყველანი და ამიტომ ვუბრუნებთ მას მისივე სიტყვებს, რომლებიც მან რაღვის ფსევდონიმით 1953 წელს აკავი პაპავას ეჭრნალ «მამული»-ს ფურცლებზე ვლასა მეგლაძეს მიუძღვნა:

«შენ გინძოდა მშობელ მიწას
 დაეფარა შენი ძელები,
 თავს ამაყად დასდგომონენ
 მოდარაჯეთ ჩვენი მთები!
 შენ გინძოდა ყიუინის ქვეშ
 ყოფილიყავ ცივი, მკედარი.
 ჩვენებურ წყლებს ეთქვა შენთვის
 გოდება და გლოვის ზარი!..
 მაგრამ ასე არ ასრულდა,
 მოხდა რისი შიშიც გკლავდა,
 შენი ტურფა სამშობლოდან
 დღენი შორეს გაგითავდა.
 დღო და ბედმა უსამართლოთ
 გაყიალეს როგორც გერი,
 მაგრამ მაინც მოუსრელად
 ლამაზ მსხვერპლად დაიმტვერი.»
 ალექსანდრე შათაირიშვილი.

ა ნ დ რ ი გ უ გ უ გ ი ლ ი

ამა წლის 17 მარტს ქ. ლონდონში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ანდრო გუგუშვილი. ქართულ აქტიურ ემიგრაციას მოაკლდა კიდევ ერთი შებრძოლი, საქართვე-ლოს გაათავისუფლებისთვის თავდადებული ადამიანი.

ანდრომ გაათავა ქუთაისის ე.წ. ქართული გიმნაზია 1913 წ. და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში წავიდა. იქ მას მოუსწრო პირველმა მსოფლიო ომშა და ამის გამო იგი იძუ-

ლებული გახდა (როგორც რუსეთის იმპერიის მოქალაქეს) ეკრანისა და ეროვნული და გახტებულიყო. მან თავი შეაფარა ინგლისს და სიკვდილამდე იქ დარჩა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას იგი აღფრთოვანებით შეხვდა და როდესაც ქართველი წარმომადგენლები ლონდონს მივიდნენ, იგი მათ გვერდში ამოულდა, იყო მათი გამყოლი, დამხმარე და მთარგმნელი. როდესაც საქართველოს მთავრობამ აკაკი ჩხენკელი განსაკუთრებულ ელჩად ეკრანპაში გამოაგზავნა, და იგი ლონდონსაც ეწერა; ანდრო მისი მდივანი იყო. შემდეგ იგი დაინიშნა საელჩოს მდივნად და მიუხედავად ამ საელჩოს გაუქმებისა, ანდრო არაოციკიალურად მაინც თავის მუშაობას განაგრძო და და ინგლისის მთავრობა მას ამაში ხელს არ უშლიდა.

არაა გასაკვირველი, რომ ემიგრანტი ანდრო გუგუშვილი გაჭირვებულად ცხოვრობდა; იგი ასწავლიდა ქართულ ენას დაინტერესებულ ინგლისელ ახალგაზრდა მეცნიერებს და როდესაც ქართველთათვის ცნობილმა მეცნიერმა კ. ალენმა უურნალ «გეორგიკა»-ს გამოცემა დაიწყო, მან ანდრო რედაქტორის მდივნად მიიწყო და იყო ამ უურნალის მდივანი, სანამ ეს უურნალი ომისწინ არ შეწყდა. აქ ანდრო არამც თუ უურნალის მდივანი იყო, არამედ ბეჭდავდა წერილებს ქართულ ისტორიულ საკითხებზე...

ინგლისის მთავრობისათვის ანდრო გუგუშვილი იყო წდობის კაცი და როგორც ქართული ან საერთოდ კავკასიური საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე, ანდროს იწვევებინა და ილიად საპასუხისმგებლო დავალებასაც აძლევდნენ (როგორც, მაგალითად, მეორე საერთაშორისო ომის დაწყების შემდეგ); ყოველ დავალებას იგი დილი გულმოდგინებით ასრულებდა ხოლმე,

მიუხედავად იმისა, რომ მას ასთმა, გულისხუთვა სტანჯავდა, იგი დაკინებით განაგრძობდა მუშაობას და ადგენ... ა ინგლისურ ეხანგ ქართული ენის გრამატიკასა და სახელმძღვანელოს. სამწუხაროთ, მას ეს შრომა დაუთავებელი დაურჩა... შეეძლო კი მას, სიკედილს მისთვის რომ ეცლია. არამც თუ მარტო ეს შრომა, არამედ ბევრი რამ სხვაც გაეკეთებინა, იმდენად მლვივ პატრიოტული და სათანადოდ მომზადებული, მომჟმედი პიროვნება იყო იგი...

მიცვალებულის ნეშტის დაწვა მოხდა 5 აპრილს გამოსათხოვაზე სიტყვა წარმოსთქვა ექ. აკ. რამიშვილმა. ნეშტის ფერფლი გადატანილ იქნა ირლანდიში, ალენების ოჯახში. მეტობარი.

გიორგი ოდიშვილი

ამაწლის 17 აპრილს, პარიზის ფოშის სახელობის საავად-მყოფოში, გადაიცვალა საქართველოს სამხედრო ხელლის უფროსი იუნკერი გ. ოდიშელიძე. განსვენებული იყო საფრა-

ნეგეთის ჯარის დაშსახურებული ათასეულის უფროსი, უცხოელთა ლეგიონში. 1939—1945 წ. ის იყო უფროსი იმ ქართული რაზმისა, რომელიც შედგა საფრანგეთში და ფრიც დ მძიმე პირობებში მოუხდა გიტლერის ჯარების წინააღმდეგ, სახიფათო, საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრა და თავისი რაზმი სამშეიდობოზე გაყვანა.

დასაფლავების დღეს (პარიზის ახლო—ქ. შატიუს სასაფლაოზე), ქართველ კ. მხედართა ასოციაციის სახელით მისმა თავმჯდომარებ, კოლონელ ნ. თოხაძემ განსვენებულს გამოეთხოვა მერიძობიარე სიტყვით, რომლის მოკლე წინაარსი აქ მოგვყავს:

«როცა ჩენი სამშობლო ვერაგმა მტერმა მოგვტაცა, შენ გშირულად იბრძოდი მის დასაცავად ტაბახმელაზე, პირნათლად მოიხადე შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. შემდეგ ჩენ შემოვეკედლეთ საფრანგეთს და მის ჯარშიც პატიოსნად და ერთგულებით ემსახურე მისი თავისუფლების დაცვას, დაიმსახურე კიდეც მასპინძლების სათანადო ყურადღება და მაღლაბა. შენ იყავი დიჭი, მორიდებული და გულჩითხრიბილი ადამიანი. მაგრამ შენი გრძელების სიფაქიზე არავის-თვის არ იყო უცნობი. შენი ფიქრები, შენი მეგობრებისთვის საიდუმლოება. შენ შესძლი შრომის მოყვარეობით, დარბაისლობით, გულუხვ პატიოსანი ცხოვრებით თბილი ქართული ოჯახი შეგვენა უცხოეთში.

მმიდობით ძეირფასო გიორგი, შენ ვალმოხდილი შორდები ამ ქვეყანას, მსუბუქი ყოფილიყოს მისი მიწა შენთვის, სანამ ველირსებოდეთ სამშობლოს განთავისუფლებას, რომელიც შენ არ დაგივიწყებს და მაღლაბით მოგიხსენიებს.

ქედს ვიხრი შენი ცხედრის წინაშე ქართველ კ. მხედართა სახელით. საუკუნო განსვენება მოგანიჭოს უფალმა, ლმერთმა ჩეენმა».

«ჩვ. დრ.» რედაქტირა გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულ გ. ოდიშელიძის ოჯახს და მის მეგობრებს.

«ჩვენი დოკუმა»-ს ცოდნი.

გრ. ბარამიძე	120 ფრანკი.
ბ-ნი ი. ჯ.	100 "
ს. დონაცუა	100 "
შალ. ჯაველიძე	100 "
ალ. ტატიშვილი	100 "
ისიდორე გაეონია	100 "
სოშოს სათვისტომო	100 "
ვ. გაჩეჩილაძე	50 "

ალ. შათორიშვილისგან მისი მეგობრის კოლია ორაგვე-ლიძის ხსოვნის ალსანიშნავად 100 ფრანკი.

Gerant: M. Stouroua.